



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS


ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები



www.sab.ge

ინფლაცია და მისი გამოწვევი მიზეზები

2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით ინფლაციის მაჩვენებელია 5.2%, რომელიც 0.2%-ით აღემატება საქართველოს ეროვნული ბანკის 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს. ინფლაცია განისაზღვრება სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით და მის რეგულირებაზე პასუხისმგებელია ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტი (საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკი). ეფექტური მონეტარული პოლიტიკის წარმართვა ქვეყანაში ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილური გარემოს შენარჩუნებას, უმუშევრობის დონის კონტროლს, აისახება საპროცენტო განაკვეთებზე და ახდენს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას გრძელვადიან პერიოდში. განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით განვითარებად ქვეყნებს ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ახასიათებს.




გარფიკი 1. წყარო საქსტატი www.geostat.ge

გრაფიკი 1-ზე მოცემულია საქართველოში ინფლაციის დონის ყოველთვიური მაჩვენებელი 2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის სექტემბრის ჩათვლით. ბოლო მონაცემებით ინფლაცია 5.2%-ია, რომელიც აღნიშნული პერიოდისათვის ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს მცირედით აღემატება.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის დასადგენად, საქსტატი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასებს ყოველთვიურად საქართველოს ხუთ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი) იკვლევს. საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა ჯგუფის ფასების ცვლილება განსხვავებულ გავლენას ახდენს სამომხმარებლო კალათის ფასზე.



2015 წლის სექტემბრის ინფლაცია საქონლისა და მომსახურებების მიხედვით 2014 წლის სექტემბერთან შედარებით



გარევიკი 2. წყარო ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

გრაფიკი 2-ზე მოცემული მონაცემების საფუძველზე ვხედავთ, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში ალკოჰოლოლიურ სასმელებზე და თამბაქოზე 13.4%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, რისი ძირითადი გამომწვევი მიზეზიც არის გადასახადების ზრდა აღნიშნულ პროდუქციაზე (აქციზის განაკვეთის ზრდა). მკვეთრად გაიზარდა ჯანდაცვის (9.8%) და ავეჯისა და სახლის მოვლის ღირებულება (11.6%). კავშირგაბმულობის ხარჯების ზრდა (0.6%) იყო შედარებით მცირე. შემცირდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ღირებულება (-0.5%), რისი გამომწვევი ფაქტორიც არის მოსახლეობის შემცირებული მსყიდველუნარიანობა და მოთხოვნის შემცირება აღნიშნულ პროდუქციაზე.


საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასის 50%-იანმა კლებამ ტრანსპორტის ხარჯის შემცირება (-1.8%) გამოიწვია. მოსალოდნელი იყო უფრო მკვეთრი გაიარებდაც, თუმცა ნავთობის ფასის კლებასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ეროვნული ვალუტის შემცირებული მსყიდველუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე (37% - იანი გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ).

ეროვნული ვალუტის გაუფასურება სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ იმპორტულ პროდუქციის ღირებულებაზე აისახა. ეროვნული ვალუტის შენონილი ინდექსი იმ ქვეყნების მიხედვით, საიდანაც ხდება საქონლის იმპორტი შემცირდა 17.9%-ით, ეს ავტომატურად ზრდის იმპორტული პროდუქციის ფასს.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი ბოლო 1 წლის განმავლობაში გაიზარდა 9.3%-ით. გარკვეულწილად ზრდა განპირობებულია, როგორც ნედლეულზე გაზრდილმა ფასებმა ასევე გაზრდილმა სხვადასხვა სახის ხარჯებმა: კომუნალურმა ხარჯებმა (ელექტროენერჯის ტარიფის ზრდა), იჯარის გადასახადმა (უცხოური ვალუტის შემთხვევაში), ფინანსური რესურსების მომსახურების ხარჯებმა (გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, გაზრდილი გადასახადი სესხის უცხოურ ვალუტაში მომსახურების შემთხვევაში) და ა.შ.



მწარმოებელთა ფასების ინდექსი და ინფლაცია 2006 - 2015 წ.



გარფიკი 3. წყარო ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

გრაფიკი 3-ზე მოცემულია მწარმოებელთა ფასების ინდექსისა და ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკა 2006-2015 წლებში. როგორც ვხედავთ, საკმაოდ მაღალია მწარმოებელთა ფასების ინდექსისა და ინფლაციის ურთიერთკავშირი. მწარმოებელთა ფასების ინდექსის ცვლილება უფრო მკვეთრია ინფლაციის ინდექსთან შედარებით.

მოსალოდნელია, რომ გაზრდილი კომუნალური ხარჯები მომავალ პერიოდში ხელს შეუწყობს ინფლაციის ზრდას. ვინაიდან მონეტარული პოლიტიკის ფორმირება ხდება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ინფლაციის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში შესაძლებელია ეროვნულმა ბანკმა გაამკაცროს მონეტარული პოლიტიკა. რეფინანსირების განაკვეთი ბოლო 1 წლის განმავლობაში 4%-დან 7%-მდე გაიზარდა და მოსალოდნელია შემდგომი ზრდა წლის ბოლომდე. რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ხელს უწყობს საპროცენტო განაკვეთების ზრდას ეროვნულ ვალუტაზე და გრძელვადიან პერიოდში ამცირებს ინფლაციას.

დასკვნა

საზოგადოება და ბანკები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია შეფასდეს გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული ეფექტი ინფლაციის მაჩვენებელზე. გაზრდილი კომუნალური მომსახურების ხარჯებისა და გაცვლითი კურსის შემდგომი გაუფასურების პირობებში, მოსალოდნელია ინფლაციის შემდგომი ზრდა. ჩვენი აზრით მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ხელს შეუწყობს ინფლაციის შემცირებას და დადებითად იმოქმედებს გაცვლით კურსზე. გაცვლითი კურსის გამყარება შეამცირებს იმპორტული პროდუქციის ფასს და შესაბამისად ინფლაციას.

2015 წელს მწარმოებელთა ფასების ინდექსის მკვეთრი ზრდა, ბიზნესის მხრიდან წარმოების დონის შესანარჩუნებლად ფინანსური რესურსების მზარდ მოთხოვნაზე მიანიშნებს. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ინფლაციის რეგულირებას, გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების ზრდას. ეს კი თავის მხრივ შეზღუდავს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას და უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე.



